პროექტი

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**დადგენილება N**

**2024 წლის თებერვალი**

**ქ. ბათუმში, კახაბრის ქ. N48-ში; ხახულის ქ. N50-ში; დასახლება ურეხში მდებარე მიწის ნაკვეთებზე: 05.31.07.179; 05.31.07.208; 05.31. 07.210 განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ე" ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" 41-ე და 43-ე მუხლების და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი"-ს მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

ქალაქ ბათუმში, კახაბრის ქ.N48-ში; ხახულის ქ.N50-ში; დასახლება ურეხში მდებარე მიწის ნაკვეთებზე: 05.31.07.179; 05.31.07.208; 05.31.07.210 დამტკიცდეს განაშენიანების დეტალური გეგმა; თანახმად დანართისა.

**მუხლი 2**

კანონმდებლობით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონისძიება განისაზღვროს საპროექტო მიწის ნაკვეთებზე დაგეგმილი მშენებლობის (შეთანხმებული პროექტის მიხედვით გადამეტებული) კ 1/2 მაჩვენებლის 10%-ს ოდენობით საცხოვრებელი ფართობით ან იგივე ოდენობის სხვა მაკომპენსირებელი ღონისძიებით

**მუხლი 3**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე** **რამაზ ჯინჭარაძე**

**განმარტებითი ბარათი**

**პროექტის სახელწოდება და სათაური**

**ქ. ბათუმში, კახაბრის ქ. N48-ში; ხახულის ქ. N50-ში; დასახლება ურეხში მდებარე მიწის ნაკვეთებზე: 05.31.07.179; 05.31.07.208; 05.31.07.210 განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ**

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი**

**ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ;**

**ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:**

დადგენილების პროექტის მიღების მიზანია ქალაქ ბათუმში, ქ. ბათუმში, კახაბრის ქ. N48-ში; ხახულის ქ. N50-ში; დასახლება ურეხში მდებარე მიწის ნაკვეთებზე: 05.31.07.179; 05.31.07.208; 05.31.07.210 **განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცება.**

განმცხადებელი შპს „MAQRO", (ს/ნ 445407373). ქალაქ ბათუმის გენერალური გეგმით გეგმარებითი ერთეული მდებარეობს საცხოვრებელ ზონაში (სზ), იგი წარმოადგენს სამშენებლო ტერიტორიას. ქალაქ ბათუმის განაშენიანების გეგმით გეგმარებითი ერთეული მდებარეობს საშუალო ინტენსივობის საცხოვრებელ ზონაში (სზ-3), რომელშიც მოქმედებს შემდეგიგანაშენიანების პარამეტრები: განაშენიანების კოეფიციენტი (კ-1) = 0,5; განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) = 1,8; გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) = 0,3. გეგმარებითი ერთეულში მოქცეული მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარებისათვის დაგეგმილია ქალაქმშენებლობის პარამეტრის, კერძოდ განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კ2-ის სიდიდის ცვლილება/გაზრდა დადგენილი 1,8-დან 3,0-მდე, ასევე მაქსიმალური სიმაღლეების და სხვა პირობების განსაზღვრა. აღნიშნული საჭიროებს დაგეგმვას და კერძო ინიციატივის საფუძველზე, ქალაქ ბათუმის მერიის მიერ 2023 წლის 05 სექტემბერს გამოცემულ იქნა N ბ14.142324876 ბრძანება „ქ. ბათუმში, კახაბრის ქ. N48; ხახულის ქ. N50ა-ში; დასახლება ურეხში მდებარე მიწის ნაკვეთებზე ს/კN05.31.07.179; N05.31.07.208; N05.31.07.210 განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავებისათვის ინიცირების გაცემის შესახებ". აღნიშნული ბრძანების საფუძველზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პირველ ეტაპზე შემუშავდა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის №გ-15. 152335315 განკარგულებით დამტკიცდა გდგ-ს კონცეფცია, რომლის საფუძველზე შემუშავდა გდგ-ს პროექტი. განაშენიანების დეტალური გეგმის ტაქსონომიური დონე იერარქიულად წარმოადგენს ქვედა დონეს და მიეკუთვნება ქალაქთმშენებლობის გეგმებს. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული დავალების შესაბამისად განაშენიანების დეტალური გეგმა შემუშავდა 3 მიწის ნაკვეთისაგან შემდგარ გეგმარებითი ერთეულზე, რომლის ფართობი შეადგენს 87386 კვ.მ-ს.

**ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:**

დადგენილების პროექტით ქალაქ ბათუმში, **კახაბრის ქ. N48-ში; ხახულის ქ. N50-ში; დასახლება**

ურეხში მდებარე მიწის ნაკვეთებზე: 05.31.07.179; 05.31.07.208; 05.31.07.210 განაშენიანების დეტალური გეგმის მითება.

**ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება;**

**ბ.ა)** დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო: არ გამოიწვევს ხარჯებს.

**ბ.ბ)** პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე: არ გამოიწვევს

**გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:**

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

**დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწე-სებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციები არ მიღებულა.

**ე) პროექტის ავტორი:**

დადგენილების პროექტის ავტორია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

**ვ) პროექტის ინიციატორი:**

დადგენილების პროექტის ინიციატორია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

**ზ) განმარტებით ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:**

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის**
**ქალაქგანვითარებისა და ურბანული**
**პოლიტიკის სამსახურის უფროსი** **გიორგი წანაწყენიშვილი**